

შპს ნიუ ლამ ჯორჯია

(ს/ნ 40009637)

ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
ანგარიშგება ფინანსური შედეგების შესახებ	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	5
1. ზოგადი აღწერა	5
2. წარდგენის საფუძველი	5
3. ფული და ფულის ეკვივალენტები	6
4. უცხოური ვალუტა	6
5. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6
6. გრძელვადიანი აქტივები	6
7. ცვლილება ძირითად საშუალებებში	7
8. ცვლილება არამატერიალურ აქტივებში	8
9. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	8
10. ამონაგები	8
13. კაპიტალი	9

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დასახელება	შენიშვნა	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები		637 939	629 760
სავაჭრო მოთხოვნები		1 651 474	1 565 509
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი		1 153	921
მარაგები		1 520 216	1 454 946
- საქონელი და მზა პროდუქცია		1 519 438	1 454 580
- სხვა		778	366
სხვა არამატერიალური აქტივები		2 303	2 709
ძირითადი საშუალებები		2 620 080	1 657 837
სულ აქტივები		6 433 165	5 311 682
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		401 251	803 275
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		9 925	8 300
საგადასახადო ვალდებულებები		68 391	39 323
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		1 098 499	889 613
სხვა ვალდებულებები		17 168	12 963
სულ ვალდებულებები		1 595 234	1 753 474
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		4 837 931	3 558 208
სულ საკუთარი კაპიტალი		4 837 931	3 558 208
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		6 433 165	5 311 682

ანგარიშგება ფინანსური შედეგების შესახებ
2019 წელი

დასახელება	შენიშვნა	თანხა
ნეტო ამონაგები		13 905 114
საქონლის გაყიდვიდან		13 267 463
მომსახურების გაწევიდან		637 651

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(11 559 937)
საწყისი მარაგები		(1 454 946)
მარაგების შესყიდვა		(11 625 207)
საბოლოო მარაგები		1 520 216
საერთო მოგება		2 345 177

სხვა შემოსავალი		372 774
დასაქმებულთა ანაზღაურება		(446 303)
ცვეთა და ამორტიზაცია		(207 046)
საპროცენტო ხარჯი :		(75 753)
იჯარის ხარჯი		(156 571)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		(267 174)
სულ საოპერაციო ხარჯები		(780 073)
საოპერაციო მოგება		1 565 104

წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:		(84 924)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		1 480 180
მოგების გადასახადი		457
მოგება/(ზარალი)		1 479 723

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2019 წელი

დასახელება	შენიშვნა	თანხა
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		3 558 208
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	14	(200 000)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	14	1 479 723
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		4 837 931

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი აღწერა

შპს ნიუ ლამ ჯორჯია (ს/ნ 400009637) (შემდგომში კომპანია) დაარსდა 2010 წლის 13 ოქტომბერს. 2010 წლის 27 ოქტომბრიდან კომპანია დარეგისტრირდა დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დირექტორი და 50%-იანი წილის მფლობელია ვაჟა ივანიშვილი (პ/ნ 01005021001), ხოლო 50%-იანი წილის მფლობელია კობა ელბაქიძე (პ/ნ 01001052658).

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, გლდანის "ა" მ/რ-ნი, კორ. 66, ბ. 46. ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, გლდანის რაიონი, გელა ჭედიას ქუჩა N1.

შპს ნიუ ლამ ჯორჯიას ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საავეჯე მასალებით და აქსესუარებით ვაჭრობა, აგრეთვე საკუთარი და იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების გაქირავება.

2. წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ის შესაბამისად. ქვემოთ განიხილება სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი დებულებები. დართული ფინანსური ანგარიშები მოყვანილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონირების ძირითად ვალუტას.

3. ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს კომპანიის სალაროში და საბანკო ანგარიშებზე რიცხულ თანხას.

4. უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში წარმოებული ოპერაციები გადაანგარიშდება ქართულ ლარში, ოპერაციის დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული გაცვლის ოფიციალური კურსით. წინანმდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ფული და ვალდებულებები გადანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული კურსით. ქვემოთ მოყვანილია ლარის კურსი ძირითადი უცხოური ვალუტის მიმართ 2018 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ცხრილი 4.1. უცხოური ვალუტის კურსები ლართან მიმართებაში

თარიღი	USD	EUR
31.12.2018	2.6766	3.0701
31.12.2019	2.8677	3.2095

5. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. სასაქონლო მარაგების თვითღირებულების განსასაზღვრად გამოიყენება საშუალო შეწონილი მეთოდი.

6. გრძელვადიანი აქტივები

კომპანიის გრძელვადიანი აქტივებს წარმოადგენს ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები, რომელთა სასარგებლო მომსახურების ვადა აღემატება 1 წელს.

ძირითადი საშუალების ღირებულება განისაზღვრება ძირითადი საშუალების შეძენის მომენტში გაწეული დანახარჯებით, რომელიც მოიცავს აქტივის შესყიდვის ფასს, საიმპორტო ბაჟს, დაუბრუნებელ გადასახადებს, ნებისმიერ დანახარჯს რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული ძირითადი საშუალების დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და მუშა მდგომარეობაში მოყვანასთან.

კომპანია ძირითად საშუალებებს ცვეთას არიცხავს შემცირებადი ნაშთის მეთოდით, შემდეგი საპროცენტო განაკვეთებით:

ცხრილი 6.1 ძირითად საშუალებებზე გამოყენებული ცვეთის ნორმები

ძირითად საშუალებათა ჯგუფი	ცვეთის ნორმა
შენობა-ნაგებობა	5%
მანქანა-დანადგარები	20%
ოფისის აღჭურვილობა	20%
სატრანსპორტო საშუალებები	20%

არამატერიალურ აქტივებს რომელთა სასარგებლო მომსახურების ვადა უცნობია, სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასების საფუძველზე, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს.

7. ცვლილება ძირითად საშუალებებში

აღწერა	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობები	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	ოჯახით აღებული კონების კეთილმოწყობა	სულ
ნაშთი 2019 წლის 01 იანვრისთვის დამატება	380 871	-	630 040	888 138	60 479	214 983	63 898	2 238 409
გასვლა	294 269	290 812	174 357	358 332	4 867	70 062	3 312	1 196 011
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	-	-	-	(78 998)	-	(10342)	-	(89 340)
	675 140	290 812	804 397	1 167 472	65 346	274 703	67 210	3 345 080
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი								
ნაშთი 2019 წლის 01 იანვრისთვის	-	-	42 268	354 582	60 479	96 269	26 974	580 572
წლის ცვეთა	-	-	34 557	134 717	1 596	29 859	5 911	206 640
ჩამოწერა	-	-	-	(53 605)	-	(8 607)	-	(62 212)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	-	-	76 825	435 694	62 075	117 521	32 885	725 000
წმინდა საბალანსო ღირებულება								-
2019 წლის 01 იანვრისთვის	380 871	-	587 772	533 556	-	118 714	36 924	1 657 837
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	675 140	290 812	727 572	731 778	3 271	157 182	34 325	1 620 080

8. ცვლილება არამატერიალურ აქტივებში

აღწერა	საბუღალტრო პროგრამები	სულ
ნაშთი 2019 წლის 01 იანვრისთვის	6 856	6 856
დამატება		-
გასვლა		-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	6 856	6 856
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი		
ნაშთი 2019 წლის 01 იანვრისთვის	4147	4147
წლის ცვეთა	406	406
ჩამოწერა		-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	4553	4553
წმინდა საბალანსო ღირებულება		
2019 წლის 01 იანვრისთვის	2709	2709
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2303	2303

9. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

კომპანიის სასესხო ვალდებულებები ფორმირებულია საბანკო სესხების სახით. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იქნა გაწეული.

10. ამონაგები

კომპანიის ამონაგები მოიცავს შემოსავალს საქონლის რეალიზაციიდან და მომსახურების გაწევიდან. საქონლის რეალიზაციიდან შემოსავალი აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ხოლო, მომსახურების გაწევისას - როდესაც კომპანია მყიდველის წინაშე შეასრულებს ხელშეკრულებით ან შეთანხმებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

11. ხარჯები

კომპანია ხარჯებს აღიარებს დარიცხვის მეთოდით, მათი გაწევისთანავე. წინამდებარე ანგარიშგებაში ხარჯები წარმოდგენილია მათი ეკონომიკური შინაარსის მიხედვით.

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯის მუხლი მოიცავს ისეთ ხარჯებს, როგორიცაა: ქონების დაზღვევის ხარჯი (14 010 ლარი), კომუნალურ ხარჯებს (60 923 ლარი), კომუნიკაციის ხარჯებს (12 055), ავტომანქანების ტექ მომსახურების ხარჯებს (17 695 ლარი), საბანკო მომსახურების ხარჯს (12 374 ლარი), საგადასახადო ხარჯი (13 205 ლარი) და სხვ.

12. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი

სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი -ს მუხლში მოცემულია ისეთი არასაოპერაციო შემოსავლებისა და ხარჯების გავლენის ნეტო შედეგი, როგორიცაა მომწოდებლებისაგან მიღებული ფასდათმობა (352 609 ლარი), ძირითადი საშუალების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავალი (20 160 ლარი).

2017 წლის 01 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებების შესაბამისად, კომპანია მოგების გადასახადს იხდის როგორც მოგების განაწილების შემთხვევაში, ასევე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 97-98-ე მუხლებით განსაზღვრულ შემთხვევებშიც. ამასთან, კომპანიას მოგების განაწილებისას წარმოეშევა ჩათვლის უფლება 2017 წლის 01 იანვრამდე არსებულ პერიოდში ყოველწლიური მოგების გადასახადის წესით დარიცხულ და გადახდილ მოგების გადასახადზე. 2019 წლის მოგების გადასახადის ხარჯმა შეადგინა 457 ლარი.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა კომპანიას აკისრებს ვალდებულებას შეასრულოს საგადასახადო აგენტის ფუნქცია, რაც გულისხმობს დაიანგარიშოს, გადახდის წყაროსთან დააკავოს და ბიუჯეტში შეიტანოს საშემოსავლო გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია კომპანიის სახელფასო ვალდებულებების შესრულებასთან. ასევე, კომპანია ასრულებს ყველა საგადასახადო ვალდებულებას, რაც მოითხოვება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით.

13. კაპიტალი

კომპანიის საკუთარი კაპიტალი ფორმირებულია გაუნაწილებელი მოგებისგან. საანგარიშგებო პერიოდში საკუთარ კაპიტალში ცვლილება გამოწვეულია მხოლოდ საანგარიშგებო პერიოდში მიღებული მოგებითა და დივიდენდების გაცემით.